ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი № 21

6 სექტემბერი, 2018 წელი
14 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გულია გოცირიძე

სხდომაზე კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვას ესწრებოდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი ზაირა მიქატაძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ
2. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლებაში III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის (კვიპაროსის, ბარძიმის, ევკალიპტის) სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში,ოქროყანაში, სატყეო ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ასკილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბანში, უსახელო ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მ/რაიონში, III კორპუსის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ავქსენტი ნაჭყებიას სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ძმები ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების შესახებ
13. თბილისში, ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ

14. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ა/მ რაიონში არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ძმები კობა და მათე ქირიების და გიორგი შუშანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რობერტ თავაძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქ.თბილისში, ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე დღის წესრიგით 16 საკითხია განსახილველად წარმოდგენილი. აქედან ზოგ შემთხვევაში უნდა მოხდეს უკვე სახელდებულ ქუჩასთან განვითარებული შესახვევის გაგრძელება და უსახელო ჩიხების სახელდება. კომისია კომისიის წევრების და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლის ზაირა მიქატაძის ჩართულობით დედაქალაქის რიგი უსახელო ქუჩებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების სახელების მინიჭების საკითხს განიხილავს.

თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, კომისიისთვის პრიორიტეტია ძირითად ქუჩასთან განვითარებული უსახელო შესახვევისთვის, გასასვლელისთვის ან ჩიხისთვის ძირითადი ქუჩის სახელის შენარჩუნება.

კომისიის სხდომაზე სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ იმსჯელეს და აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს. დადებითად გადაწყდა ასევე დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-7 და მე-8 საკითხები, კერძოდ, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ და ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

როგორც ცნობილია, კომისიაში მიმდინარეობს მსჯელობა თბილისის ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგის, ლიტერატურათმცოდნე ელენე მეტრეველის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. 2018 წლის 23 აგვისტოს კომისიის სხდომის დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ელენე მეტრეველის სახელის მინიჭება მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩასთან მდებარე უსახელო

ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, საკითხი 2018 წლის 11 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მოიხსნა დღის წესრიგიდან. საკრებულოს წევრთა უმრავლესობის აზრით, ელენე მეტრეველის ღვაწლის და დამსახურების გათვალისწინებით, უმჯობესია, თუ კომისია სახელდებისთვის შეარჩევს უფრო მასშტაბურ ქუჩას ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის დღევანდელ სხდომაზე რეკომენდაცია გაუწია სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლებაში III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭებას. საკითხს მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმაც.

კომისიის სხდომაზე საბურთალოს რაიონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის და ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. სხდომის თავმჯდოომარის ინფორმაციით, ტერიტორია, სადაც უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს, არის განაშენიანების პროცესში და ქუჩას სახელი ახალი გრგ-ს მიხედვით ერქმევა. გამომდინარე იქიდან, რომ მიმდებარედ ქუჩები ატარებს მუხის, თუთის და ტირიფების სახელებს, კომისისამ მხარი დაუჭირა ქუჩისთვის ანალოგიური სახეობის მცენარის, კერძოდ ცაცხვების სახელის მინიჭებას.

ასკილის სახელი კი მიენიჭება მთაწმინდის რაიონში, კერძოდ ოქროყანაში სატყეო ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს ტოპონიმური სახელწოდებების მატარებელი ქუჩები, როგორიცაა სატყეო და მეფუტკრეობა. ტერიტორიაზე უხვადაა ასკილის ბუჩქები, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი სახელდება თემატურია.

კომისიის სხდომაზე ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის სახელის მინიჭების საკითხი განიხილეს. თინათინ ნიბლოშვილმა სახელდებისთვის სამი სავარაუდო სახელი წარმოადგინა (კვიპაროსი, ბარძიმი, ევკალიპტი), კომისიის წევრებმა იმსჯელეს და უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭებაზე შეთანხმდნენ.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივას სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. წერილს საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსი ნინო გახია გვიგზავნის, რომელიც მოქალაქე გია ალიხანაშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს სოფელ ნასაგურში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის სახელდებას.

როგორც ცნობილია, ტამიში სოფელია ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში და ვინაიდან ძირითადი ქუჩა ატარებს აფხაზეთის სახელს, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია უსახელო ქუჩისთვის თემატურად აფხაზეთთან კავშირის მქონე სახელის მინიჭება.

კომისიის სხდომაზე მოქალაქე ნანა გურაბანიძის წერილი განიხილეს, რომლითაც ითხოვს ე.წ. „ივერთუბნის“ დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდებას. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ხსენებულ დასახლებაში განვითარებულია ორი ახალი, ერთმანეთის პარალელურად მდებარე უსახელო ქუჩა, რომელთა სახელდებისთვისაც დღევანდელ სხდომაზე ორი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი. კომისიის მხარდაჭერის შემთხვევაში უსახელო ქუჩებს რობერტ თავაძის და თამაზ დუმბაძის სახელები მიენიჭება.

კომისიის წევრები ზაირა მიქატაძესთან ერთად შეთანხმდნენ, რომ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური დეტალურად შეისწავლის რობერტ თავაძის, თამაზ დუმბაძის და ნუგზარ შანავას ბიოგრაფიას და საბრძოლო მოკვლევებს. მიზანშეწონილობის შემთხვევაში კომისია კიდევ ერთხელ დაუბრუნდება დღევანდელი დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცხრე და მეცამეტე საკითხების განხილვას.

კომისიის სხდომაზე სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მ/რაიონში, III კორპუსის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის აქვსენტი ნაჭყებიას სახელის მინიჭების მოთხოვნით მოქალაქე მარინა ნაჭყებიას წერილი განიხილეს. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 24 აპრილს #93 განკარგულებით აქვსენტი (ტასო) ნაჭყებიას სახელი მიანიჭა საბურთალოს რაიონში, ვეძისის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას.

ზაირა მიქატაძემ სხდომის თავმჯდომარესთან და კომისიის წევრებთან ერთად უსახელო სკვერისთვის აქვსენტი ნაჭყებიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თბილისში უკვე არსებობს აქვსენტი (ტასო) ნაჭყებიას სახელობის ქუჩა, განმცხადებელთან, მარინა ნაჭყებიასთან კომუნიკაციის და შეთანხმების შემდეგ მეტერთმეტე საკითხი ამოღებული იქნა დღის წესრიგიდან.

რაც შეეხება დედაქალაქის ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ტამიშთან ბრძოლაში დაღუპული გმირის რევაზ ბებიას სახელის მინიჭებას, რომელიც ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის რეკომენდაციით ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ჯილდოზეა წარდგენილი, კომისია შეარჩევს დედაქალაქში ერთ-ერთ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს, რომელსაც რევაზ ბებიას სახელი მიენიჭება.

კომისიის სხდომაზე ვახტანგ და ამირან კაპანაძეების მამაცობაზე ისაუბრა ზაირა მიქატაძემ. მათ გმირულ თავდადებას ვატერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა წერილიც მიუძღვნა სათაურით „არ გატყდე შვილო!", რომელიც ჟურნალ „ვეტერანში" გამოქვეყნდა.

კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ აუცილებლად იმსჯელებენ კრწანისში, ფონიჭალაში, გარდაბნის გზატკეცილთან მდებარე ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ან სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, ძმები ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების თაობაზე, აღნიშნულ სახელდებასთან დაკავშირებით კომისიას დაღუპული გმირების მამამ, რიჩარდ კაპანაძემ მომართა.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე გლდანის ა მ/რაიონში მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ძმები კობა და მათე ქირიების და გიორგი შუშანაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ისაუბრა. ხსენებული სახელდების მოთხოვნით კომისიას მოქალაქე დავით დახუნდარიძემ და უსახელო სკვერის მიმდებარედ მაცხოვრებელმა მოქალაქეებმა მომართეს. საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა. ზაირა მიქატაძემ გმირების შესახებ ვრცლად ისაუბრა. ლეიტენანტი კობა ქირია დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, ხოლო გიორგი შუშანაშვილი ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ.ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

6 სექტემბერი , 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი